განკარგულება:**გ-27.27213233**
თარიღი:**19/11/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 78

19 ნოემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

,, თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ " - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **,, თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2021 წლის 24 დეკემბრამდე.

4. **,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2022 წლის 01 იანვრამდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი